

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №9

ქ. აბაშა, 2018 წლის 9 აგვისტო

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა : აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, კოკი ჩაჩავა, მერაბ მელია და
ზაზა გაბელაია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია, ზურაბ შუბლაძე და ბენია
პიტავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების
შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ელვარდი ნოდიაძე და კოკი ჩაჩავაძე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა :

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით. კომისიის მიერ აღნიშნული საკითხი შეფასდა დადებითად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 11:00 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა